

# საზოგადოების განწყობა საქართველოში

## 2021 წლის დეკემბრის
## სატელეფონო გამოკითხვის მთავარი მიგნებები

ჩატარებულია NDI-ის დაკვეთით CRRC საქართველოს მიერ

კვლევა დაფინანსებულია დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის საგარეო, თანამეგობრობისა და განვითარების ოფისის კარგი მმართველობის ფონდის მიერ.

## გამოკითხვის შესახებ

- საველე სამუშაოების პერიოდი: 7-13 დეკემბერი, 2021
- 2,099 დასრულებული ინტერვიუ (22% გამოპასუხება, AAPOR სტანდარტების მიხედვით)
- საშუალო ცდომილების ზღვარი +/- 1.3%
- **შენიშვნა: ცდომილების ზღვარი იცვლება სხვადასხვა კითხვის მიხედვით**
- **ახალი მონაცემების კვლევის წინა ტალღებთან შედარებისას გაითვალისწინეთ: ინტერვიუს მეთოდის ცვლილება შესაძლოა ცდომილებაზე აისახოს.**

## შერჩევა

- ყველა ინტერვიუ ჩატარდა **სატელეფონო გამოკითხვის მეთოდით.**
- რესპონდენტები მარტივი შემთხვევითი შერჩევის გზით - **შემთხვევით ნომერზე დარეკვის მეთოდით** შეირჩნენ.
- ინტერვიუები ჩატარდა ქართულ, აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე.
- კვლევა საქართველოს მთლიანი მოსახლეობის წარმომადგენლობითია (ოკუპირებული ტერიტორიების გამოკლებით). გარდა ამისა, კვლევა წარმომადგენლობითია თბილისის, ურბანული და სოფლის ტიპის დასახლებებისთვის.

**ხარისხის კონტროლი**

- ყველა ინტერვიუერი გადის სპეციალურ ტრენინგს.
- კოორდინატორები CRRC-ის ცენტრალური ოფისიდან აწარმოებენ ინტერვიუერების მუშაობის ხარისხის კონტროლს.

# პირისპირ ინტერვიუ



- ბევრი კითხვის დასმა შეიძლება (60-80);
- ინტერვიუს ხანგრძლივობა მეტია (30-60 წუთი);
- შეიძლება უფრო გრძელი კითხვების დასმა, განმარტებების გაკეთება;
- შესაძლებელია ბარათების გამოყენება, სადაც რესპონდენტი სავარაუდო პასუხებს წაიკითხავს.

# სატელეფონო ინტერვიუ



- კითხვების რაოდენობა შეზღუდულია (20-30);
- ინტერვიუს ხანგრძლივობა ნაკლებია (10-20 წუთი);
- კითხვები უფრო მოკლე და მარტივია, ვიდრე პირისპირ ინტერვიუს დროს;
- შეუძლებელია ბარათების გამოყენება, სადაც რესპონდენტი სავარაუდო პასუხებს წაიკითხავს, რაც ნიშნავს, რომ პასუხის ვარიანტები მოკლე უნდა იყოს, რომ ინტერვიუერმა წაიკითხოს, ან ინტერვიუერმა უნდა შეუსაბამოს რესპონდენტის პასუხი სავარაუდო პასუხებს.

## პირისპირ ინტერვიუ



- ინტერვიუერი რესპონდენტს ხედავს და უფრო კარგად ხედავს რესპონდენტის არავერბალურ ქცევას და მიხვდება, თუ რესპონდენტი კითხვას ვერ გაიგებს;
- ინტერვიუერი რესპონდენტთან ერთად არის და გარემოს უკეთ მართავს;
- რესპონდენტების გარკვეული ჯგუფი უფრო რთულად გამოსაკითხია მოუცლელობის გამო;
- შერჩევის მეთოდიდან გამომდინარე ცოდმილება უფრო მაღალია, ვიდრე სატელეფონოს დროს;
- უფრო მეტ ხარჯებთანაა დაკავშირებული;
- უფრო მეტი დრო სჭირდება ველს.

## სატელეფონო ინტერვიუ



- უფრო მეტია ალბათობა, რომ რესპონდენტმა კითხვა ვერ გაიგოს და ინტერვიუერი ვერ მიხვდეს, რომ ვერ გაიგო;
- ინტერვიუერმა არ იცის როგორ გარემოში იმყოფება რესპონდენტი;
- ზოგი რესპონდენტი უფრო ხელმისაწვდომია სატელეფონო ფორმით, მაგალითად, კაცები, ან ადამიანები, რომლებიც სახლში იშვიათად არიან;
- შერჩევის მეთოდიდან გამომდინარე ცდომილება უფრო დაბალია, ვიდრე პირისპირის დროს;
- უფრო ნაკლებ ხარჯებთანაა დაკავშირებული;
- უფრო მალე სრულდება ველი.

# რატომ ვატარებთ კვლევებს?

- რათა ხელი შევუწყოთ ისეთი პოლიტიკისა და მმართველობის ჩამოყალიბებას, რომელიც უფრო მეტად იქნება მორგებული მოსახლეობის საჭიროებებზე;
- რათა დავეხმაროთ დაინტერესებულ მხარეებს ამოიცნონ და იზრუნონ მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე.

# მთავარი მიგნებები

- მოქალაქეები მათთვის მნიშვნელოვან საკითხებთან მიმართებაში პროგრესს ვერ ხედავენ. ისინი ფიქრობენ, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში სიღარიბესთან, კრიმინალთან, ტერიტორიულ მთლიანობასთან და განათლებასთან დაკავშირებული სიტუაცია გაუარესდა.
- მოსახლეობის უმრავლესობა ფიქრობს, რომ არც მმართველი პარტია და არც ოპოზიცია მათი ინტერესებიდან გამომდინარე არ მოქმედებენ.
- მოქალაქეები ამბობენ, რომ პარლამენტი მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე არ მუშაობს (53 პროცენტი); 52 პროცენტს ასევე არ სჯერა, რომ თუ პარლამენტის წევრს მათ დასახლებაში არსებული პრობლემების შესახებ ეტყვის, ის პრობლემის მოგვარებაში დაეხმარება. მოსახლეობის მხოლოდ მესამედი მიიჩნევს, რომ პარლამენტს მოქალაქეებთან რეგულარული კომუნიკაცია აქვს.
- არსებული პოლარიზაციის ფონზე, მოსახლეობის უმრავლესობა პარტიათაშორის თანამშრომლობას უჭერს მხარს. 80 პროცენტი ფიქრობს, რომ მათმა რჩეულმა პოლიტიკურმა პარტიამ პარლამენტში მყოფ ყველა სხვა პარტიასთან უნდა ითანამშრომლოს, თუნდაც ზოგიერთი პარტიის ქმედებები ან მოსაზრებები მისთვის მიუღებელი იყოს.

# მთავარი მიგნებები

- მოქალაქეთა უმრავლესობა ოპოზიციასა და მმართველ პარტიას შორის შემრიგებლის როლში ადგილობრივ აქტორებს მოიაზრებს. უმეტესობა (34 პროცენტი) ამბობს, რომ ეს როლი თავად პარტიებმა უნდა ითავონ, 11 პროცენტი კი ფიქრობს, რომ პრეზიდენტი ყველაზე კარგად გაუმკლავდებოდა შუამავლის როლს. დარჩენილი 18 პროცენტი მიიჩნევს, რომ ეს ფუნქცია დასავლელმა პარტნიორებმა უნდა შეასრულონ.
- მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოსახლეობის აბსოლიტური უმრავლესობისთვის დემოკრატიულ ქვეყანაში ცხოვრება მნიშვნელოვანია (92 პროცენტი), მხოლოდ 39 პროცენტი მიიჩნევს, რომ საქართველო დღეს დემოკრატიაა.
- ამასთან, უმეტესობის აზრით, საქართველო მეზობელი ქვეყნებისთვის აღარ არის დემოკრატიის შუქურა. 25 პროცენტი მიიჩნევს, რომ საქართველო არც არასდროს ყოფილა სამაგალითო დემოკრატია, 23 პროცენტის აზრით კი, ქვეყანა მეზობლებისთვის დემოკრატიის კარგი მაგალითია.

# მთავარი მიგნებები

- კორონავირუსის ორი წლის თავზე, მოსახლეობის ნახევარი მთავრობის მიერ პანდემიის მართვას დადებითად აფასებს.
- თუმცა ვაქცინაციის მიმართ უნდობლობის მაჩვენებელი კვლავ მაღალი რჩება: მოსახლეობის 42 პროცენტი არ აპირებს აცრას. მხოლოდ 25 პროცენტი ამბობს, რომ აიცრებოდა, 29 პროცენტი კი აცხადებს, რომ უკვე გაიკეთა ვაქცინა.
- ვაქცინისადმი სკეპტიკურად განწყობილი ადამიანები მთავარ მიზეზებად ვაქცინის ხარისხის მიმართ უნდობლობასა (38 პროცენტი) და ჯანმრთელობის პრობლემებს ასახელებენ (20 პროცენტი). ამასთან, ვაქცინირებული მოსახლეობის 34 პროცენტი ბუსტერ დოზის გაკეთებას არ აპირებს ან ჯერ არ აქვს გადაწყვეტილება მიღებული.

# ქვეყნის მიმართულება და მოქალაქეთა პრიორიტეტები

ნაწილი I

# მოსახლეობის უმეტესობისთვის საქართველო არასწორი მიმართულებით ვითარდება

განსხვავებული მოსაზრებები არსებობს იმასთან დაკავშირებით, თუ საერთო ჯამში როგორი მიმართულებით ვითარდება საქართველო. თქვენ რომელს ეთანხმებით? (q4)



# ეკონომიკური სიდუხჭირე კვლავაც მთავარი გამოწვევაა

რომელი ეროვნული დონის საკითხებია თქვენთვის და თქვენი ოჯახისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი? გთხოვთ, მითხრათ არაუმეტეს სამი პასუხისა. (q5)




მოქალაქეებს სიღარიბე და ეკონომიკური მდგომარეობა კვლავ ყველაზე მეტად აწუხებთ. 2009 წლის შემდეგ, მთავარი ეროვნული საკითხების ჩამონათვალი არ

კატეგორიაში "სხვა" უმეტესად "რელიგია", "ეკონომიკა", კულტურა, ღირებულებები" და "პოლიტიკური სიტუაცია" დაასახელდა.

# მოქალაქეები თანხმდებიან ქვეყნის მთავარ გამოწვევებზე, პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად

რომელი ეროვნული დონის საკითხებია თქვენთვის და თქვენი ოჯახისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი? გთხოვთ, მითხრათ არაუმეტეს სამი პასუხისა. (q5 X რომელი პარტია დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს?)



# უმუშევრობა და ფასების ზრდა მთავარი ეკონომიკური პრობლემებია

თქვენი აზრით, რა არის ამჟამად საქართველოს ეკონომიკის წინაშე მდგარი ყველაზე დიდი პრობლემა? (q6)




კატეგორიაში 'სხვა' უმეტესად "სოფლის მეურნეობა", "ადგილობრივი წარმოების ნაკლებობა" და "ეკონომიკური პოლიტიკა" დასახელდა.

# მოქალაქეები თანხმდებიან ძირითად ეკონომიკურ პრობლემებზე, პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად

თქვენი აზრით, რა არის ამჟამად საქართველოს ეკონომიკის წინაშე მდგარი ყველაზე დიდი პრობლემა? (q6 X რომელი პარტია დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს?)



# მოსახლეობის მტკიცებით, ძირითადი მიმართულებებით სიტუაცია გაუარესებულია

გთხოვთ, მითხრათ, ბოლო 10 წლის განმავლობაში როგორ შეიცვალა მდგომარეობა საქართველოში შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით? გაუარესდა, არ შეცვლილა თუ გაუმჯობესდა? (q7)



# სიღარიბის აღქმა უარესდება, მათ შორის მმართველი პარტიის მხარდაჭერებშიც

გთხოვთ, მითხრათ, ბოლო 10 წლის განმავლობაში როგორ შეიცვალა მდგომარეობა საქართველოში შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით? გაუარესდა, არ შეცვლილა თუ გაუმჯობესდა? (q7 X რომელი პარტია დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს) ნაწილი 1



# პარტიული სიმპატიები ეროვნული საკითხების მიმართ დამოკიდებულებას განაპირობებს

გთხოვთ, მითხრათ, ბოლო 10 წლის განმავლობაში როგორ შეიცვალა მდგომარეობა საქართველოში შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით? გაუარესდა, არ შეცვლილა თუ გაუმჯობესდა? (q7 X რომელი პარტია დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს) ნაწილი 2



# მოსახლეობა კვლავაც აქტიურად უჭერს მხარს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას

მისაღებია თუ არა საქართველოს მთავრობის გაცხადებული მიზანი საქართველო გახდეს ევროკავშირის წევრი? (q27)




| წელი | თვე | მისაღებია | მიუღებელია | არ ვიცი |
|---|---|---|---|---|
| 2012 | თებ | 74 | 5 | 21 |
| 2012 | ივნ | 70 | 5 | 22 |
| 2012 | აგვ | 68 | 5 | 24 |
| 2012 | ნოემ | 77 | 4 | 17 |
| 2013 | მარ | 76 | 5 | 17 |
| 2013 | ივნ | 79 | 7 | 13 |
| 2013 | სექ | 81 | 9 | 9 |
| 2013 | ნოემ | 85 | 7 | 8 |
| 2014 | აპრ | 77 | 11 | 12 |
| 2014 | აგვ | 78 | 10 | 12 |
| 15 | აგვ | 61 | 21 | 17 |
| 2016 | მარ | 77 | 14 | 9 |
| 2016 | ივნ | 72 | 16 | 12 |
| 2016 | ნოემ | 72 | 18 | 10 |
| 2017 | აპრ | 80 | 12 | 7 |
| 2017 | ივნ | 77 | 16 | 7 |
| 2017 | დეკ | 72 | 21 | 7 |
| 2018 | მარ | 75 | 15 | 9 |
| 2018 | ივნ | 81 | 12 | 6 |
| 2018 | დეკ | 83 | 9 | 7 |
| 2019 | აპრ | 77 | 13 | 10 |
| 2019 | ივლ | 78 | 14 | 8 |
| 2019 | ნოემ | 82 | 10 | 8 |
| 2020 | ივნ | 76 | 8 | 15 |
| 2020 | დეკ | 80 | 8 | 12 |
| 2021 | ივლ | 76 | 11 | 13 |
| 2021 | დეკ | 83 | 8 | 8 |

# მოქალაქეები თანხმდებიან, რომ ევროკავშირში გაწევრიანება მნიშვნელოვანია, პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად

მისაღებია თუ არა საქართველოს მთავრობის გაცხადებული მიზანი საქართველო გახდეს ევროკავშირის წევრი?(q27 X დასახლების, ასაკის, სქესისა და პარტიული მხარდამჭერის მიხედვით)



# მოსახლეობა კვლავაც აქტიურად უჭერს მხარს საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებას

მისაღებია თუ არა საქართველოს მთავრობის გაცხადებული მიზანი საქართველო გახდეს ნატო-ს წევრი? (q28)



# მოქალაქეები თანხმდებიან, რომ ნატო-ში გაწევრიანება მნიშვნელოვანია, პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად

მისაღებია თუ არა საქართველოს მთავრობის გაცხადებული მიზანი საქართველო გახდეს ნატო-ს წევრი?
(q28 X დასახლების, ასაკის, სქესისა და პარტიული მხარდაჭერის მიხედვით)



# დემოკრატია

ნაწილი II

# მოქალაქეებისთვის დემოკრატიულ ქვეყანაში ცხოვრება კვლავაც მნიშვნელოვანია

საერთო ჯამში, რამდენად მნიშვნელოვანი ან უმნიშვნელოა თქვენთვის, რომ დემოკრატიულ ქვეყანაში იცხოვროთ? (q8)



# ყოველი მეორე მოქალაქე ამბობს, რომ საქართველო არ არის დემოკრატია

თქვენი აზრით, საქართველოში ამჟამად არის დემოკრატია? (q9)



# მმართველი პარტიის მხარდამჭერებისთვის საქართველო დემოკრატიაა, თუმცა დანარჩენი მოსახლეობა არ იზიარებს ამ მოსაზრებას

თქვენი აზრით, საქართველოში ამჟამად არის დემოკრატია? (q9 X დასახლების, ასაკისა და პარტიული მხარდამჭერის მიხედვით)



# უმრავლესობა ამბობს, რომ საქართველო თავისი მეზობლებისთვის არ არის დემოკრატიის კარგი მაგალითი

რომელი მოსაზრება დგას თქვენს შეხედულებასთან ყველაზე ახლოს? ქართული დემოკრატია ... (q10)



# ქართულ დემოკრატიაზე განსხვავებული შეხედულებები არსებობს

რომელი მოსაზრება დგას თქვენს შეხედულებასთან ყველაზე ახლოს? ქართული დემოკრატია ... (q10 X რომელი პარტია დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს)



# უმრავლესობა ფიქრობს, რომ არავინ მოქმედებს ხალხის და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე

ეთანხმებით, თუ არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს? (q25)

■ ვეთანხმები ■ არ ვეთანხმები ■ არ ვიცი ■ უარი პასუხზე

მმართველი პარტია ქართული ოცნება ხალხის და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს




პარლამენტში და ადგილობრივ თვითმმართველობაში არჩეული ოპოზიციური პარტიები ხალხის და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ



# უმრავლესობა ფიქრობს, რომ მმართველი პარტია ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე არ მოქმედებს

ეთანხმებით, თუ არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს? - მმართველი პარტია ქართული ოცნება ხალხის და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს (q25_2 X დასახლების, ასაკისა და პარტიული მხარდაჭერის მიხედვით)



# უმრავლესობა ფიქრობს, რომ არჩეული ოპოზიციური პარტიები ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე არ მოქმედებენ

ეთანხმებით, თუ არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს? - პარლამენტში და ადგილობრივ თვითმმართველობაში არჩეული ოპოზიციური პარტიები ხალხის და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ (q25_1 X დასახლების, ასაკისა და პარტიული მხარდაჭერის მიხედვით)



# მოსახლეობის უმრავლესობამ <u>არ იცის</u> ან <u>არ ასახელებს</u> იმ პარტიას, რომელიც მის შეხედულებებთან ყველაზე ახლოს დგას. მხოლოდ 42%-მა დაასახელა კონკრეტული პარტია.



*უმრავლესობა პოლიტიკურად კვლავ გადაუწყვეტელია.*

*პარტიების მხარდაჭერის ინდივიდუალური მაჩვენებლები იმდენად დაბალია, რომ არჩევნების შედეგების გამოსაცნობად ვერ გამოდგება.*

*რომელი პარტია დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს? (q14)*
*ღია კითხვა*



# მოსახლეობის უმრავლესობამ არ იცის ან არ ასახელებს იმ პარტიას, რომელიც მის შეხედულებებთან ყველაზე ახლოს დგას. მხოლოდ 42%-მა დაასახელა კონკრეტული პარტია.



*უმრავლესობა პოლიტიკურად კვლავ გადაუწყვეტელია.*

*პარტიების მხარდაჭერის ინდივიდუალური მაჩვენებლები იმდენად დაბალია, რომ არჩევნების შედეგების გამოსაცნობად ვერ გამოდგება.*

**რომელი პარტია დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს? (q14) ღია კითხვა**
*ყველა რესპონდენტი*



# უმრავლესობა პოლიტიკურად კვლავ გადაუწყვეტელია

რომელი პარტია დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს? (q14)



# ახალგაზრდები ძირითადად გადაუწყვეტლები არიან

რომელი პარტია დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს? (q14 X ასაკის მიხედვით)



# მოსახლეობის უმრავლესობა მხარს უჭერს პარტიათაშორის თანამშრომლობას

წარმოიდგინეთ, რომ არსებობს პარტია, რომელიც სხვებთან შედარებით უფრო მოგწონთ. ეთანხმებით თუ არ ეთანხმებით მოსაზრებას, რომ თქვენმა რჩეულმა პოლიტიკურმა პარტიამ პარლამენტში მყოფ ყველა სხვა პარტიასთან უნდა ითანამშრომლოს, თუნდაც ზოგიერთი პარტიის ქმედებები ან მოსაზრებები თქვენთვის მიუღებელი იყოს? (q24)



# პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად, მოქალაქეები თანხმდებიან, რომ პარტიათაშორისი თანამშრომლობა მნიშვნელოვანია

წარმოიდგინეთ, რომ არსებობს პარტია, რომელიც სხვებთან შედარებით უფრო მოგწონთ. ეთანხმებით თუ არ ეთანხმებით მოსაზრებას, რომ თქვენმა რჩეულმა პოლიტიკურმა პარტიამ პარლამენტში მყოფ ყველა სხვა პარტიასთან უნდა ითანამშრომლოს, თუნდაც ზოგიერთი პარტიის ქმედებები ან მოსაზრებები თქვენთვის მიუღებელი იყოს? (q24 X დასახლების, ასაკისა და პარტიული მხარდამჭერის მიხედვით)



# მოსახლეობის უმრავლესობა მთავრობასა და ოპოზიციას შორის მოდერატორის როლში ადგილობრივ მოთამაშეებს ხედავს

ოპოზიციურ პარტიებსა და მმართველ პარტიას დღეს ბევრ საკითხთან დაკავშირებით უჭირთ დიალოგი და შეთანხმების მიღწევა. თქვენი აზრით, ასეთ სიტუაციაში, ყველაზე კარგად ვინ შეასრულებდა შუამავლის და შემრიგებლის როლს? (q26)



# მოსახლეობის უმრავლესობა მთავრობასა და ოპოზიციას შორის მოდერატორის როლში ადგილობრივ მოთამაშეებს ხედავს

ოპოზიციურ პარტიებსა და მმართველ პარტიას დღეს ბევრ საკითხთან დაკავშირებით უჭირთ დიალოგი და შეთანხმების მიღწევა. თქვენი აზრით, ასეთ სიტუაციაში, ყველაზე კარგად ვინ შეასრულებდა შუამავლის და შემრიგებლის როლს? (q26 X რომელი პარტია დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს?)



# ინსტიტუტებისა და ლიდერების საქმიანობის შეფასება

ნაწილი III

# მოსახლეობის უმრავლესობა მთავრობის საქმიანობით უკმაყოფილოა

როგორ შეაფასებდით არსებული მთავრობის საქმიანობას? (q11)



# უმეტესობა ინსტიტუტებით და ლიდერებით უკმაყოფილოა

გთხოვთ, მითხრათ, როგორ შეაფასებდით შემდეგი ინსტიტუტების საქმიანობას? (q12)



# პრემიერ-მინისტრის საქმიანობის შეფასება გაუარესდა

გთხოვთ, მითხრათ, როგორ შეაფასებდით პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის საქმიანობას? (q12_3)



# პრეზიდენტის საქმიანობის შეფასება გაუარესდა

გთხოვთ, მითხრათ, როგორ შეაფასებდით პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის საქმიანობას? (q12_2)



# ცესკო-ს საქმიანობის ნეგატიური შეფასება ბოლო ექვს წელიწადში გასამმაგდა

როგორ შეაფასებდით ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკოს) საქმიანობას? (q12_4)



# პარლამენტის საქმიანობის დადებითი შეფასება კვლავაც დაბალია

გთხოვთ, მითხრათ, როგორ შეაფასებდით პარლამენტის საქმიანობას? (q12_1)



# მოსახლეობას კვლავ არ სჯერა, რომ პარლამენტი მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე მუშაობს

გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ეთანხმებით, ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს? (q13)



ნაწილი IV

# პანდემია



# მოსახლეობის უმრავლესობა ჯანდაცვის სისტემას ენდობა

ზოგადად, რამდენად ენდობით ან არ ენდობით საქართველოს ჯანდაცვის სისტემას? (q16)



# მოსახლეობის ნახევარი მთავრობის მიერ პანდემიის მართვას დადებითად აფასებს

საერთო ჯამში, როგორ შეაფასებთ, როგორ უმკლავდება საქართველოს მთავრობა კორონავირუსის პანდემიას? (q17)



# მოსახლეობის უმეტესობა ამბობს, რომ პანდემიასთან დაკავშირებით ყველაზე უარესი ჯერ კიდევ წინ არის

ჩამოთვლილთაგან, რომელი აღწერს თქვენს გრძნობებს საქართველოში კორონავირუსთან დაკავშირებით? (q18)



# მოსახლეობის უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ ვაქცინაციის შესახებ საკმარისი ინფორმაცია აქვს

როგორ ფიქრობთ, გაქვთ თუ არა საკმარისი ინფორმაცია კორონავირუსის წინააღმდეგ ვაქცინაციის პროცესთან დაკავშირებით? (q19)



# ვაქცინის მიმართ უნდობლობა კვლავ მაღალია

## გაიკეთებდით თუ არა კოვიდის საწინააღმდეგო ვაქცინას?



# მოსახლეობის 42 პროცენტი არ აპირებს აცრას

გაიკეთებდით თუ არა კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინას/აცრას? (q20)



# ვაქცინირებული მოქალაქეების მესამედი ბუსტერის გაკეთებას არ აპირებს, ან არ იცის რას იზამს

54%-დან, ვინც უკვე აიცრა ან აპირებს, რომ აიცრას



# მოსახლეობის უმრავლესობა ბავშვების ვაქცინაციის წინააღმდეგია

კორონავირუსის წინააღმდეგ ვაქცინაციის ასაკმა საქართველოში 12 წლამდე დაიწია. აცრიდით თუ არა თქვენს შვილს კორონავირუსის წინააღმდეგ? (q23)



# ვაქცინის ხარისხის მიმართ შიშები კვლავ ძლიერია

თუ არა, რატომ არ აიცრებოდით? (q22) - 46%-დან, ვინც არ თქვა, რომ აიცრებოდა



კვლევა დაფინანსებულია დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის საგარეო, თანამეგობრობისა და განვითარების ოფისის კარგი მმართველობის ფონდის მიერ.

# NDI-CRRC კვლევები ხელმისაწვდომია:

→ WWW.NDI.ORG/GEORGIA-POLLS

→ WW.CAUCASUSBAROMETER.ORG